423
872/2

ცისკარი.

1872

ნოემბერი და დეკემბერი.

წელიწადი მეთექვსმეტე.

წოდებათა თხზულ, ათა:

I, — ჰაგლე თუმანიშვილს. (ლექსი) ელიმისა.
სოფლის ამაოება. (ლექსი) თ. ნაალ ბარა-
თოვისა.
დილა. (ლექსი ნათ.) ი. კერესელიძისა.
II, — ანდერძი. (საქართველოს ისტორიის მასა-
ლეები.)
III, — უკრაინის დიპლომატები. (მოთხრ. ნათ.)
ი. კერესელიძისა.

ტფილისს.

მარტირუზიანის ტიპოგრაფიაში.

1879 w 11-12

ლექსი.

16

თ. პავლე თუმანი-შვილს. (*)
(ვუძღვნი თ. იოსებ თუმანოვს).

ქართველთ პოეტო! შენსა სახელსა,
უკვდავსა, ხალხი დღესაც ახსენებს;
და გრძნობით სავსეს შენსა ლექსებსა

(*) ვინც მიჰყვეს ქართულს ლიტერატურას, არა თუ მარტო იმათ, ყველა ქართველმა იცის, თუ რა მოლექსე იყო თ. პავლე თუმანიშვილი, რომლის ლექსები ისე სახალხო შეიქნა, რომ დღესაც იმღერიან ჩუჩნში მკოსანნი ⁄ დღესაც მსმენელნი იტკბობენ ეურს. ამ მცირე ლექსის დაწერის სურვილი აღძრა ახლად დაბადებულმა ამ პოეტის შვილის შვილმა ჯერეთ ჩვილმა თ. პავლემ, რომლის მამა იოსებ არის ჩუჩნში, განთქმული, როგორც ჩინებული ⁄ ეოვლის პატიოსნებით შემკობილი ყმაწვილი კაცი.

მგოსანი დღესაც ტკბილ ხაზედ დამღერს!
 რომელს ტკბილ ხმაზედ თვით შენ დამღერდი,
დღესაც კი გვესმის იმ ჩანგის ჟღერა,
 იმ ჟღერას. რომელს სიამოვნებით
ეურსა მიუპურობთ ⁄ ტკბება სმენა.
 იმ ბრწყინუალ ჩანგით, ბრწყინვალ სახელით,
დღეს ურმისა სახით გამოგვეცხადე,
 ურმავ, აღიზარდე! მსურის სიმრთელით,
მოუუსის სიუუარულს მარად ეცადე;
 აღიზარდე ურმავ! ღუთისა შიშის ქვეშე,
ის არ მოგაკლებს შენ მფარველობას;
 თუ გსურს ამ სოფლად იყო ბედნიერ,
მტკიცედ დაადექ ათსავე მცნებას.
 ეს არის ჩუენი სიმრთელის ძალი,
ის დაგაყენებს სიმართლის გზასა,
 მით შეიქნები მშობლების თვალი,
ერთგულ მსახურე შენს ბაბის ჩანგსა!
 მაშინ იქნები ერთული შვილი,
~~რომელიც ~~ ~~ ~~;
 ისე საუვარელთ შენის მშობლების,
და თჯთ სამშობლოს ტკბილის ქვეყნისა!
 გახსოვდეს ურმაო, სად დაიბადე,
ყოველი კაცი მას საღმრთოდ სახავს

ლექსები

მის გულისათვის არას ზოგავდე,
რადგან კაცი მგზავს ვერსად ვერ ნახავს.
ერმავ! აღიზარდე, სასიხარულოდ,
იყავ ნუგეშად შენ მშობლებისა;
ერთგულ მსახურე შენსა ქვეყანას,
ᲓᲐ იყავ ერთგულ შენის ქვეყნისა!

ი. კერესელიძე.

1872 წელსა
26 ნოემბერს
ქ. ტფილისს

სოფლის ამაოება.

მუსთალი ესე სოფელი კაცისთჳს არს სატანჯავი,
მდიდრისა ჲ ღარიბისა, იგი არის დიდ მტანჯავი,
რა ქნას კაცმა ღვთის მოშიშმა, რათ გარდივლოს სა-
ტანჯავი,
მოთმინება თუ იხმაროს, თავს გარდუვალს სატანჯავი.

რომელი კაცი არა იქს, ამა საქმესა ასეა.
იგი თავისა მტერია, სოფელი ყოვლთვის ასეა,
ხელს ვერაფერითა ვერ დარევს, იგი ცნობილი ასეა,
მან გაასწოროს ყოველნი, ბუნება მისი ასეა.

ამ აზრზე დამყარებულმა, დრონი ვატარე მე ასე,
არ სოფელს ვეპუებოდი, მახვილს მილესდა მე ასე,
მის-განჯრილობა ჩემთჳსა, მარად ვითვისე მე ასე,
მე თავსა მასსა ვივლებდი, ვხუჯებოდი მამაცად ასე

ამ გვარის ქვეყიო ვატარე სამოცი წელიწადია,
მოთმინება არ მქონიეო, მეტეოდა „ადექ წადია“,
ჩემზე მან ვერა გააწყო, ვასრულე რაცა მწადია,
და ჩემი ბრძოლა მასთანა, სამოცი წელიწადია.

თ. ზ. ბარათოვი.

ლ ი ლ ა.

(ვუძღვნი. ი. ი. ჩუხოვსკოვის).

შეხეთ ამ დილით, რა კარგია ღუთისა ქმნილება,
როგორ ერთობით მხიარულებს ტურფა ბუნება;
სხუა ჯ სხუა ფერი რა აკვია ტანთ მორთულება,
მინდორი ჩუწნს გარს მოღიმებით ვით იუურება?
ვით ქალი მორცხოდ მოწითური, მშვიდი ჯ ჩუმი,
ისე მინდორი დანამული ცვარით, ელვარებს;
წმინდად დართული ოქრომკედებრ ვით აბრეშუმი,
ისე მაღალი, თვალუწდომი ყანა მღელვარებს.
რისათჳს არის დიდებული ამ დილით ყველა,
ჯ რად უხარის საზოგადოდ ყველა სულ-დგმულსა;
ან ბუჩქებთ შორის განამულსა ამაყად, ნელა,
ნეტა ვიცოდე რაზედ გააქუს ყეფა ბულბულსა?
ან იმ ყვავილებს, ნაზი, მშვიდი, საამოდ ნიავი,
ნეტა რა არის ასე ტკბილად რომ უჩურჩულებს,

ან ისი წუარო ბრილებრ წმინდა ჯ მომკამკამი,
ცელქად, ამაუად, ჩანჩქარით რომ მოუთამაშებს?
ერნო! გათენდა ჯ ამ დილასა მშვენიერსა,
რლესასწაულებს სიხარულით ბუნება სრული;
რა რომე მორჩა წუხანდელსა იმ სიბნელსა,
ეველა სულდგმულსა ფერხული აქუსთ თითქოს დაბმული.
ვითა ბატონი მეირფასად ჯ მდიდრად მორთული,
ცაზედ აღმოჩნდა მზე, ბუნების შვილი ჰატარა,
თჯსსა ჰალატში სალსი ნახა რა შეკრებული,
ამ დღის დიდება, სიხარული, ეველას ახარა,
დიდი თუ მცირე, ცხოველი, თუ მიწის მცენარე,
ეველა დღის მამას სიხარულით მიეგებება;
ერნო ბეჯითად ამა წმინდას ახრს დაემეარეთ,
რომ მარად ვხედავთ, ის გვარწმუნებს ღუ ისა განგებას,
აგერ, აღმოჩნდა და ლაჰლაჰებს, გაიღვიძესით,
ღამის სიბნელით თჯს ბრწეინუალით, ნასეთ როგორ ჭსმლებს,
მხიარულად ჯ ღიმილით მიეგებენით,
აღზდექით, დროა, ღმერთი ლამაზს დღეს კიდე გვაძლევს!
ღმერთი გვაძლევს დღეს, ჩუჭნ სასმარად, სიხარულადა,
ამისათჯს რომ კეთილ საქმეზედ მოვისმაროთ,
ფრინველნო თქუჭნცა შემოსმახეთ, თქუჭნებურადა,

თქუენი ვალია ღმერთის ქმნილება ამსიარულოთ!
ხენო ფოთლებით მწვანე ველი თქუენც დაარდილეთ,
ყველა დაატკბეთ, ვინც გეტრფიან, თქუენ სურნელებით;
კაცნო გიყვარდეთ ერთმანერთი ვით ძმანი, მტკიცედ,
ამას ეცადეთ ამ ქვეყანას კეთილი ქმენით,
ესე კეთილი, სიყვარული ვითა ძმებისა,
საღმერთოდ შეიწყნარს ზენა არსი, რა აღვალს მაღლა,
იგი მოწყალე, სასოება თჳს ქმნილ ერისა,
მიიღებს ჩუენგან ვითა მსხვერპლსა ქუნდრუკის ნაცვლად!

ივ. კერესელიძე.

20 ოკტომბერს 1872 წელსა.
ქ. ტფილისს.

ანდერძი.

ამ დღეებში თათალსან გამოვიდა, იბრეიმ ხანს: არაბალი მოირბია სრულად აიკლო. თუთან მუშაში ეეჭრა, ბატონი მისაშველად წაბძანდა დიდის ჯარით. იარანალ ჰოტემკინი მოსდოკს მეოფი ჯ დოსტური აკობ სწერენ, ამანაც გარდიარა: მერე ქერიმხანის ბიძა ილმა ალიმურად ხან ისპაანი დაიჭირა რაღასაც თა- ძობს. ამირ ასლან ხან ცოტა რამ ჯარით გამოგზა- რაჯობ ეულიხანთან ჯ მაჭმად ხანთან. ეს სამნივ ნენ იმან-ეულიხანს. ურუმაში მჯდომი მოკლეს. დაა- ძ ცხეს ოსე იქ ეოფილიეო. ამბავი მომივიდა გორე- ული ენასა. კაცი მოვკალო. მასარა, იმწავე არ ვისა- ვაი ამ დღესა სად კვდება ულვთოებში აბა რად ნდა ესეები. მარა სიცოცხლე რომ დამიმწარდა გაცო- ნებ ჰირველი შვილი მოსწრებილი წარწყმედაში მე- ლებოდეს. მეორე უკეთურებდეს. მესამეც ურჩებას ეთა- აშებოდეს. მეოთხე სამღუდელო იეოს ჯ ვერა სწავ-

ლობდეს, მესუთე დათუა თვეში ერთსელ თვალით არ მესილვებოდა, მეექვსე შინა ჯ რა ვიცით ან ეს რასა იქს, თუ მივცემ რასმე კმას გამომცემს. თუ არა არ მომეახლება. ემათ ვამლევ თორემ ჩემს დღეში ერთი აბაზი არ ვიცი ერთი ლიტრა ჰური. ერთი შაურის ფასი. ვაჭმევ ვასმევ ჯ მაშინაც უმადლო არიან.

დიდება შენდა ღმერთო: აგვისტოს: ი, ქორო. უოა ანასტასია აგვისტოს (თ) ჰაწაწა ქალი დაიბადა. გათენებისას: ოთხშაბათს. ანასტასია. ჩემის დის სახელს უმზადებენ.

მსაჯულიცა. შვილიცა: მსუიდველიცა. ჯ გამუიდველიცა. თუ ერთის დღის მიწა. ჩემი ნასუიდისა ან მისცეს მსაჯულმა. ან მმამ ჯ ან მსუიდველმა იუიდოს. მეორედ მოსლვას: ქორო. სამართალში ჩემის ბრალის მაგიერ ის დაისაჯოს. ვინც ჩემი შვილი იმისთანა გამოვიდეს. თავის თავი მისცეს. თავიხი შვილი, ჩემთან რა საქმე აქვს. მე ეს მინდა დიდი ჭირი მინასავს ღამე ძილი გამიტეხია. დღე არ მომისვენია. მამული მიუიდია ძნელს დროებში: ახლა რომ აშენდა ემას ვსუიდულობ დიდის გაჭირებით. ათს რომ ვიუიდი. ორი თუ დამიდგება ზოგი იმერეთს მირბიან ზოგი კახეთს ზოგი სად. ამათს სუიდვაში. ჩემის სახლობისაგან მუდამ შუოთი. როგორც უწინ მამულების სუიდვა-

ში. ამათ ის უნდათ რაც ვიშოო ტანთ საცმელზედ გა-
ილიოს მე ეს მინდა ჩემს შვილებს ემა ჭეშანდესთ
რომ თავის ამსანაგებთანაც კარგად გამოვიდნენ ⸗ სარ-
ჩოსაც მოურეწდენ უენოს კაცს რა სარჩო ექნება: ⸗
რომელი უმჯობესია. თქვენ განსაჯეთ. იფიქრეთ. ბერი
კაცი. აკადმეოფი ორ თუმანს ვიშოი თუ მეტსა ⸗ ნა-
კლებს. ჩემთჯს ვერ გამოვიმეტებ. ემაში მივცემ ხოლმე
⸗ რა დიდი შფოთი შეიქნება. ამისთანას მამას რომ
შეილებმა არა დაუჯერონრა. სამართალი საჯეთ იმას
წილი სად უნდა მიეცეს: ჯერ ამას ვიტეევი რას ჭირ-
ით ⸗ შრომით ვიშოვი ჩემთჯს ვერ გამოვიმეტებ. ბე-
რი კაცი სნეული ფიცხლავ ან იმერელს ვიეიდი ან
თათარს ან ქართველს მერე რა შფოთი შეიქნება. სად
სეიდულობს, რატომ ჩვენც თოფს მრავალ ფასისას, კაბას
უცხოსა ⸗ უცხოს ⸗ სხვას მრავალს არ გვეიეიდისდა,
გასინჯეთ. ვის რა აკლია. წესზედ კიდევ მეტი არა ჭქონ-
დესთ. თოფიცა, ჯმაცილა აგრეე შინ ტანისამოსი მაგ-
რამ რომ გაიგონებენ, ამ კაცში თეთრი მიუცია. შეი-
ქნება შფოთი; ამ ეოფაში ვიეავ სანამ ვიცოცხლე. სა-
მართალი ქმენით. ამ ეოფით მშოვნელს კაცს ნება აქვს
თავისის ნასეიდობისა როგორც უნდოდეს ისე გაარი-
გოს:

მე ასე მნებავს თუ კარგნი იეენენ ეველანი ერ

თმან ყველას ერთად მოახმარონთ. ძმებს ცოლი მოჰყვა-
რონ. დები დაათხოონ. რომელიც ვარზე გამოდგეს. ⁂
უფროსი თუ კარგი იქნება ღმერთმან იმას მისცეს ჩემი
მამული როგორც მე ვიუავ უფროსი ⁂ ყველანი იმის
მორჩილნი იყვნენ თუ უფროსს თავი არა ჰქონდეს,
რომელსაც საქმის თავი ჰქონდეს იმან ქნას უფროსო-
ბა კარგის ძმის შეკითხვით ⁂ მორჩილებით. ⁂ რომ
ვწერ ასე ვწერ. ჩემის ნასყიდობის ერთის დღის მი-
წის გასყიდვა არ იქნება, ერთის კაცისა: ⁂ არც გა-
ეოფა ⁂ გაგლეჯა. ერთად მოუარონ, ერთად ჭამონ ნუ
გაიურებიან თუ ცალ-ცალკე დადგნენ ერთად მოუარონ
მამულსა ⁂ მოსავალს გაიყოფდენ უშფოთველად. მოუ-
ვარეს ერთად უმოუვრონ. ბატონს მსახურონ რომელიც
გამოდგეს, შინ იყოს რომელსაც შეეძლოს კარზედ რო-
მელსაც შეეძლოს ლაშქარს ⁂ ასე მშვიდობით გაატა-
რონ სიცოცხლე ⁂ შვილებსაც ამისთანა ანდერძი დაუგ-
დონ. გაცვლით რომ მამულზე გაიცვალოთ ⁂ ამჯო-
ბინოთ, ის კი არა იქნებარა.

მამულები რაც მიყიდია ⁂ მიწერია ⁂ წელიწად-
ში ხუთასი ⁂ ექვსასი კოდი ჰური მერგება ხოლმე
მსახურს გამოვიუვანთ. ცხვარს შეანახვინებთ ძროხას
ღორს რომ ყველა დამიგდია. ⁂ ცოტა რამ მომგები
ცხენიცა. ვენახს ვეური. ⁂ ღვინის ნება იყოს გაისარჯე-

ნით ჯ დარჩით. მე რომ ესენი ვქმენ წელი გამიმაგრდა. თუნდ კარზედ სახელი არა მქონდეს ქართველები ვართ ჰური საჯმლად ჯ სამოსლად უნდა ვიუოფინოთ, ღვინო, სამოსლად ჯ სასმლად ცხვარი, ღორი, საკლავად მროსა. სახნავად. ჯ ასე უნდა დავრჩეთ. თუ ესენი ან მოსწყდენ ჯ ან დაგეკარგოსთ ახლა თქვენ იშოეთ. ქართველის კაცის რჩომა ასე ეოფილა ჯ ასე იქნება.

თუ სთქვათ რა იყიდაო: რომელიც მემკვიდრენი არიან ჯ დვანან ხომ მიყიდია. ჯ ვინც მომსვლია ფასის ტოლი დამისარჯავს.

ჯ ახლა ესენი ვიშოე ზოგნი დამიდგნენ ზოგნი გამექცნენ, ესენი ნასყიდნი არიან:

ქ თამაზა: ქ ეასუმა
ქ ჰაატა ქ ჩორაქჩი
ქ ხორბალაძე ქ ბალათარ
ქ ბერელა ქ გოგია
ქ ქუდრეგვენა ქ სიმონიკა
ქ ზაზიკელა ძმით
ქ რუსები: დ: ქ ჰავლია
ქ ოსები: დ: ქ იაღუბა

ქ ქორო. უობ: ივლისს: (ა) ინება ეოველად ძლიერმან ღმერთმან ჯ დედოფალმა დარეჯან მიბრძა დიღომს მამუჩის შვილი გიორგი, (იასე:) გენება შვილი

გოგია (თედია შვილი) მარიამული ⁂ როსტია შვილი სვიმონ. ⁂ კავოელა. როსტია შვილები სამეფონი არიან მაგრამ. ისინი სადედოფლონი. ⁂ გენუბა შვილი დავითა მსარეული ⁂ მისი ძმის წული რომ ბატონს ⁂ ბატონის შვილს ასლავან. იმათ მაგიერ ესენი დაეწერინე. თუ იმათ მომცემენ ამათ მივცემ. მაგრამ ესენი შვილ მრავალნი იყვნენ ⁂ მისთჳს ვქმენ. ჯერ მოურაობით მინდა შეუვიდე რომ გლეხი კაცი დავამშვიდო. არ აჯანუღენ. მერე სელთ დაგრჩებათ. სიგელში ეველა კარგათ სწერია. მოურაობის წიგნიც ასიდია. ⁂ ბოქებისაცა. ანაშიმეს ხელი მოუწერია ⁂ დაუბეჭდავს: ეშურები. ⁂ ვინ არის გამომეენებელი დიაღ ცუდი შვილები მოსჩანთ. ⁂ არ ვიცი რა გექნებათ ვაი თუ ამდონი წიგნი ამდონი მამული გააქარვოთ. თვალში მიდგას ჩემს მომნათლავს მრავალი წიგნები დარჩა იმისი ცოლი ⁂ შვილი ატარებდენ ბაზარში. ⁂ ჯერამზედ ჭეიდენ. ერთი მცირე ბარათი არ დამიგდია რომ გამოსაეენებელი არ იყოს.

ქ სეკდემბერს ით. იარანალი ჰავლე მობძანდა, მე სალომეზედ შავები მეცვა ბატონმა გამკადა მივეგებე ნაქულბაქეგს კბ. სიონში იყო ხელმწიფის კურთხევის სამადლობელად. იმ დღეს სარდალს დავითს სარდრობა უშოვეს. შუამავლობით.

ქ ღვინობისთჳს (თ) სახადი შემოგვიდგა შინა ⁘ დარეჯან გააცხელა ჩვენ აქ ჩამოვცვივდით. სამუახლოსა ⁘ სალაროში უნდა წავიდეთ სადმე: ჩემი ცოდვა მტანჯავს ვინ იცის მოვკვდე. ჩემი ანდერძი ხომ ქველა მიოქკამს ⁘ კიდევ ამას ვამტკიცებ. მამული არავინ გაჰყიდოთ. ერთი რომ დარჩეთ ⁘ მეორე ძმა გიყიდდეთ ეს ჩემი მოხსენებული ველმწიფესაც მიართვით მსაჯულთაცა. ⁘ ვინც ყიდულობდეს იმასაცა. არ იკადრებენ რომ ჩემი ვედრება არ შეისმინონ. თუ ვაჟი არავინ დამრჩეს ქალმა იზრუნოს. იოანეს ვესვეწები ჩემის სულისათჳს გაისარჯოს. ⁘ საბრალო ქალებს ეური მიუჰერას.

ვინ იცის მოვკვდე. თავადის გოდერძისა ა თუმანი მმართებს მიეცით ქალებს უპატრონეთ. დაათხოეთ. ჩემი სუფრის იარაღი გაუყავით. ⁘ ტანისამოსი. ⁘ ქვეშაგები. რაც მეტი იეოს ⁘ რაც სხვა მოუნდესთ ძმები რას ემართლებით რომ ან წილი არ მისცეთ ⁘ ან მართებულათ არ გაისტუმროთ ჩემის ეშისა ⁘ მამულის წილი სწორედ დაედებათ. ⁘ იმისი ფასი უნდა დახარჯოთ გაისტუმროთ ისევ ჩემიდამ თქვენსას რას ვხარჯავ. ვაჟები კი მაწუხებდით მაჯავრებდით. ⁘ ქალები კი მმსახურებდით. რომელი სამართალი იქნება ჩემის საქონლისა ან სწორი წილი არ მიეცესთ. სუფრის ია-

რაღს ხომ გაუუოოთ. თვითო ჯაკი ცხენი გაატანეთ. ტანისამოსი. ქვეშაგები როგორც შეიძლოთ. თუ ვერ შეიძლოთ. მამულიდამ წილი დაუდევით სანამდის შეიძლედეთ მიცემას. ეჯიროსთ. მერმე. ჰური მოგივათ. ისევ ჩემი გაეიდეთ. ზოგიერთს წელიწადს ზოგი მეორეს. ⁂ დაისსენით მამული. უბრალოს ვალს ნუ აიღებთ.

ქ. ჩემს დასამარხავზე თქვენ ნუ შესწუხდებით მაქვს ცოტა რამ. ⁂ ის მეეოფა, დავთარში სწერია საფლავი მაქვს ⁂ სუდარი. ქვა აქვს მარმარილოსი ტერტერას ისიც ჩემით იეიდეთ დასწერეთ როგორც მითქვამს სალამბრის თეთრი მიმიცია ზედ დამადგით ჩემი კბილები თან ჩამატანეთ იჰოვეთ შავს ეეოში ძვეს, ⁂ ეს დამარხვა ბატონი თფილელი გაირჯება ⁂ კრებულნი. იმათ მიართვით შვიდზე მიწირვინეთ ბატონ ტფილელს, ⁂ საზომისაებრ წამიკითხონ ჩემს მოწეალეს კათოლიკოზს, თუ ვერ აწირვინოთ. ჯვარი დააწერინეთ ⁂ ვინც წამიკითსავს ხოლმე. რამდენჯერაც ჩამობმანდეს ჯვარი დააწერინეთ. ვინც ეპისკოპოსი ჩამობმანდებოდეს ცოტას რასმე მიართმევდეთ ⁂ საზომისაებრს წამიკითსევდეს.

ქ რაც თეთრი მქონდეს. ორმოცი მიწირვინეთ. ხუთი ერთს ხუთი მეორეს. ვისიც მიჯობდეს ხუთ ხუთი მიწირვინეთ თუ დაგრჩესთ ⁂ უდაბნოებში მოსას-

სენებელი გაუგზავნეთ. თუ არა დაგრჩესთრა ⰴ ვალს ნუ აიღებთ. ვეცხლის უნაგირი ⰴ ორთუქი გაუიდეთ ჩემი ნაღვაწია. ⰴ ის მომახმარეთ. ⰴ თუ მეეოს. ეს ერთ ქალს რომელსამე გაატანეთ. ჩემთჳს ვალს ნუ აიღებთ. რაც დამეგდოს იმითი დამმარხეო. თორემ დაუნაშავებელს რას მიშვრებით ჩემთჳს რომ ვალი გაწუხებდესთ. მეშინიან საფლავიდამ არ ამომიღოთ.

ამას გარდა რაც ჩემის ოხერის მამულიდამ მერგოს. ცხრა თუ ათი შვილი თქვენ ხართ, ⰴ ერთის ოდენი ჩემთჳს აიღევით. მეათედი იეოს თუ რაც ჩემს სულს მოასმარებდეთ ხომ უველა სწერია ⰴ მომიხსენებია:

ქ მამული ხადაო არავიხი მაქვს, ღორის თავზე აბაში შვილი მელაპარაკებოდა. ხომ განაჩენსავით ოქმი მაქვს. განაჩენის ბეჭდით დაბეჭდილი რომ ამოწუვეტილის კაცისა ეოფილა მაგრამ. საბარათაშვილოს კაცთან მშვიდობა გირჩევნიათ შერიგდით, ნახევარი თქვენ ⰴ ნახევარი იმას. დავით რომ ჩემს ანდერძს გაიგონებს ისიც დაგჯერდებათ. ⰴ სხვა ხადაო არა გამიშვიარა. ⁝⁝

ქ ბატონს კათალიკოზს მიართვით ჩემი ხირღა ნიშნად ეს მიირთვას: ⰴ ჩემი ვეცხლის ჯამი საწირავად.

ქ ბატონს ტფილელს მიართვით. თეთრი ცხენი.

ცხვირ გახეული. ⁂ ჩემი ვეცხლის თეოში საწირავად.

ქ ჩემი ქათიბები ⁂ საწვიმრები დაეიდეთ. თუ ვეცხლის უნაგირი ⁂ ორთუქი ჩემზედ დახარჯოთ. ამაებიხ ფასი ჩემს ქალებს შეუნახეთ. ⁂ თუ ქალებმა ისინი ირჩიონ ეს ჩემი ოხრები როგორც გავიდეს მე მომასხმარონ.

ქ ეგითელი კაბა ნიშნად ⁂ ქონდესთ. თუ გული შესტკივა ვისმე. დაიდებდენ ცრემლს ჩამოაგდებდენ. ⁂ შეინახევდნენ.

ქ სხვა ჩემი კაბები ახალუსები სარტულები. ბერანგები. ჩემს ქალებს ⁂ ქონდესთ.

ქ იოანე ჩემო შვილო, ამას შენ გადებ, შაეს ეუთში ძევს. ჩემის ემებისათვის წიგნი მიმიცია. რომ ჩემი შვილები ვერ გაჭეიდიან ამოიღე ⁂ თავ-თავის ბატრონს დაურიგე. მე რომ ჩემს შვილებს ვსედავ. არც ერთს ჭკუა არა აქვსთ. თუ ამისთანაებით თავი არ დამეჭირა, გააფუჭებენ. ⁂ მაგათნი შვილნი ⁂ შვილის შვილნი მშიერები დარჩებოდნენ. ⁂ ჩემი სიმსდის დაღვრით ნამუშაკარი უჩინო იქნებოდა.

ქ: ოსესთან კიდევ კაცი გავგზავნე ⁂ ბატონმა წეალობის წიგნები მისწერა. ⁂ ღმერთი რასა იქმს არ ვიცი. იანვრის (იზ) ქორო. (უოგ).

აპრილის (იგ) მოვიდა ცუდი ⁂ ცუდთა ალაგთა

თავისა დამაშრომელი. არ წამოსულიეო. დიდად მეწ-
ყინა. ჯ ღმერთს მიუგდე მისი საქმე.

ქ კიდევ მიუგზავნე ბატონს. ბატონი ტფილელი
გერმონე. მრავალი მოსახსენებელი შევთვალე ორმოცი
წელიწადი ვიმსახურე ნაცვლად ეს მიქმენ დურნუკი მა-
მულად მიბოძე მდივნობა სახელოდ. დაგაბეზღეს ჩემი
თავი. ორივ წამართვი ჯ სხვაც თან გაატანე. ცხრა
წელიწადია უსარჩოოთ დავიარები მეგონა ზღილობა
კარგად ჩამამერთმევა. ახლა მოგახსენებ თუ დანაშაული
ჩანს რამე მომკალ ნუ გამიკითხავ თუ არა ჩემი მო-
მეცი.

ებძანა. მდივნობის წილს მივცემო ჯ მარტამდის
მომიცადოს მამული გამოჩნდება ჯ მივცემო. დადუმდა
ეს ამბავი ჯერ ხომ არ გამიგონია ან მოხსენება ან
დაბირება თებერვლის: ა. ბ. კა. ქორო. უოგ.

ქ წელს ბური არც მე მომივიდა ჯ არც სხვას,
ლიტრა აბაზად იყიდება. ორმოციოდ შარშანწინდელი
მქონდა. ორმოცი შარშანდელი. ეს ცოტა ხანს ვიმსა-
ხურეთ. სულ სეიდვით ვარ ეოვლის ფერისა დღეში
სამი მინანთული ისარჯება.

ქ ქორო. უოგ. მარტსა კგ: კვირას დილას დურ-
ნუკს დაეცა ლეკის დიდი ჯარი ჯ წაასდინეს.

კთ: ტაბახმელას მოუხდნენ ბატონი იქ ბძანდებოდა

ვერა წაასდინესრა.

იზ. დიდ-ხუთშაბათს ლეკისა ჯ თათრის ჯარი მოუსდა საქაშეთს აიკლეს. რუსეთის ჯარს გაემარჯვა. მრავალი დასოცეს ჯ დააურევინეს.

ამ დღეებში. სოფელი ავეარე ქალაქს ჩამოვიეანე. კბ. მოვიეანე ისევ დავაეენე.

საადგომოდ ემაწვილებს ტანისამოსი შეუკერე. ვალი ავიღე ბევრი მოგინდათ.

ზაზას ნიშანს ვამზადებ ჯვარი გაუკეთებინე მურასა თავის ჯაჯვით. ერთი წეგილი თასი. ერთი იათუღი ერთი ქარვის კრიალოსანი: ოთხი ადლი ჯ ნახევარ ჩარექი ეგითელი სტოფი მძიმე ზარიანი. სამი ლიტრა ნუღლი. ორი ლიტრა შაქარი. ესენი გავგზავნე: ორის ჩემის მსახურის ხელით. იმათის უსარჯობისათვის. მაისს კგ: მისულიეენ კარგად დასდომოდნენ მოვიდნენ. კვ. მოეწონათ არ დაეწუნათ ეს სარჯი ჯ წვრილმანა ან ცხენს. ან კაცს ჩოხა გაწეობა. მოუნდა სწორედ. ოცი თუმანი.

ქ რუისიდამ ვაზი ჩამოვატანინე ხუთი ათასი მირი გავგზავნე ჩავაურევინე. ერთი შვილი ვერ დაგიმორჩილე ასულიეავით. ამით გატეობ რომ თქვენ დაგლასაკდებით. ორი ათასი აქაური ვაზი გავგზავნე ახლა მე მინდა ავიდე მაშ რა ვქნა. იქ ეოფა მირჩევნია მა-

გრამ თუ აქ არა ვიშოვერა მშვიერები დარჩებით. მარ-
მარილო იშოო. რაც დამიწერია დაწერე დამადე თუ
შეიძლოთ. წირვით გლასაკთ აჭამევით. შემაბრალეთ.
თუ არა ღმერთმან მშვიდობა მოგცეს.

ქ სცოდავი ქალები ვერ დაკათხოვე. იმისთვის
რომ ჩემთვის მოტიქული კი არავის მოუგზავნია. მაჩა-
ბლის ლევანის შვილის მეტს. ტ იმას კიდეც დავპირ-
დი ორში ერთს რომელიც გინდა იმას მოგცემ მეთქი.
ასლა როგორც ამბჯობინოთ ისე ქენით.

თეთრი ხომ ალარა მაქვს დაისარჯა. ცოტა რამ
ვეცსლის იარაღია. ტ როგორც ამჯობინოთ. ისე გაუ-
ყავით ქალებსა. ასე უნდა ეგენი გაისტუმროთ ჩემით
იეოს თუ თქვენით. ტ მერე მამული სულ თქვენ დაგ-
რჩებათ. ტ ღმერთმან მოგასმაროს. თუ არა გქონდესთრა
როგორც დამიწერია. თითო სოფლის გამოსავალი
გირაოსავით ეჭიროსთ. იქიდამ იმის გამოსავალს ის
აიღებდეს. მერე რომ შეიძლოთ. თვითო ხელი ტანი-
სამოსი. თვითო ხელი ქვეშაგები. ცოტა რამ სპილენძი.
ესენი რომ მისცეთ. საკადრისია: მერე მამული თქვენ
დაგრჩებათ. ვალს ნუ დაიდებთ თორემ ვალმა ისე იცის
ნებით თუ უნებურად გამრავლდება ტ დაინთქმით ჩემი
მამული ჩემს შვილს რომ გირაოსავით ჰქონდესთ თქვენ
რა მოდავე ხართ. მშვიდობით, ღმერთმან მშვიდობა მო-

გვესთ. ⁂ ერთად შეგვერიბოს ზეცასა. ოსეს მწუ-
სარებამ გამათავა. ის რომ ჩვენთან ადარ იქნება
თუ იმათში მოკვდა ან მე რას ვეღირსვარ. ან თქვენ
მაგრამ ქრისტიანენი რომ ვართ იმედი მაქვს ⁂ ნება
ღვთისა არის. ჯულაბის შვილისა ორი თუმანი ამი-
ღია, ⁂ იმას განაჩენი მივეცით. მერმე იმის მოდაგე
გამართლდა იმასაც განაჩენი მივეცით. რომელსაც დარ-
ჩება ხომ სულთ მიჯირავს. ⁂ ერთსა ⁂ ერთს უნდა
მივცე. რაკენა ბევრი სულნი შევანდით ბევრი გინდებო-
დათ. ⁂ ვალია ჩემი. მე ხომ ჰერანგი არ მიეიდია. ⁂
ლოთობაზე არ დამისარჯავს თქვენ გინდებოდათ ჩემივ
მიეცით. მოვალეს ნუ გამიშვებთ. ღვთის გულისათვის.
⁂ გოდერძისა რომ დაეწერა. ა. თუმანი ისიც უნდა მი-
ცეთ. ⁂ წაველ, მმვიდობით, ეს არის.

ქ რა ვთქვა ⁂ თუ არა რით შეგაგონო. წაველ
აგვისტოს ლ. ლოჯინზე: მერმე მაღარონ. სულ ჩვენის
ხარჯით ვიეავით. ლოჯინიდამ წიგნი მოეწერა. სარ-
დარს ჩემის კაცის მეტი არავინა შეავსო მაღარონ იმის
ულუფის ბძანება მოვიდა ⁂ ჩვენ ვსეიდულობდით ძვი-
რად: სამი თვე ვილაშქრე კახეთსა ⁂ ქართლს. ერთი
სტილი არა ამიღიარა

ქ ომარ ხან გამოვიდა. ჯონგათი ალი სულთანი.
⁂ ახომის ეაზიბელაქნიდამ აბდულა ⁂ რაფი ოღლი.

იბ. ათასი იუვნენ ურდოს ფონს გამოვიდნენ. სამი დღე
იდგნენ ჩვენ სიღნაღს ჩაგვიუვანეს იქ ბატონი მობძან-
დ. არ შეება. ომარ დედოფლის წყაროზე გარდმოვი-
და არც იქ შეება მტკვარს გავიდა ჩვენ საგარეჯოზედ
მოუარეთ. იმან აღჯაუალას მმეკლები გამოართო. მეო-
რეს დღეს ასტალა ქვაბის ნაღმით აიღო. მრავალი
ბერნი ჯ მღვდელნი მაკლნა, მრავალი ერის კაცნი.
მელიქის შვილები იქ იუვნენ ტუვეთ უვანდა. მიადგა
უზუნლარში დადგა. არცარა იქ იქმნა გაუარა ლორეს.
იქიდამ ახალ-ქალაქს ჯ მედა სამცხეს ჩვენ ტფილისს.
ღვინობისთვის. გ იქიდამ ჭარელნი გამოეუარნენ. ახო-
მის უადი გამოეუარა დარჩა ომარსანი კგ ამბავი მოგვი-
ვიდა. ჯარი ბრეთს ჩამოვიდა წავედით (კე) მცხეთას.
მუსრანს. კწ. გორს. კთ. რუისს. ლ. ვასანს შემოსდგო-
მოდა. აიღეს: (ლა) ვაი ვაი ჯ ვაი. რამდენი ღირსნი
დედანი დატუვევდნენ. რამდენი მღვდელნი მოიკლნენ
რამდენი, სულნი რომელთაც კელის გამოღება შეეძლოთ
დაისოცნენ სატნი ჯ ჯვარნი ჰატიოსანნი შეიმუსრნენ
ვაი ვაი ჯ ვაი სურამის თავს უთხოს ქვეგით ვდგეეართ
კარავი მიდგას. ჩემთან დგას როსტომ ერისთავის შვი-
ლი. ჯ ზაქარია ზემო ციცის შვილი. მრაკალი ვიტი-
რეთ. შუაღამისას მოგვივიდა ამბავი. ჯ ტირილით გა-
ვათენეთ. სამს დღეს უსმელ უჭმელი ვტირეოდით. გიო-

რგობის (ბ) ავიუარენით ბეკამს მოვედით. იქ სურამი ავეარეთ. სოფლები ავაოკრეთ. ⁂ მოვედით გორს იქიდამ მოვცვივდით ტფილისში (იბ).

ქ ამ წელს ჰური სრულებით არ მოგვივიდა ღმერთმან შეგარცხვინოს ტაგნაგეთო, ასურეთი-შინდის-ტაბასმელავ. ოთხს სოფელში. ოცი კოდი ჰური მოხულიეო დღე ⁂ ღამე ბაზარზე ვეიდულობ ყველას ფერს დიდად საქმე გამიჭირდა დღეში. (გ) ისარჯება. შარშან კიდევ ძველი გვქონდა. წელს აღარც ძველია არც ახალი ⁂ ვსყიდულობ, სიღნაღში ცხენი მომიკვდა ვიყიდე. ჯალით: დიდება შენდა ყოვლისა მჰყრობელო ღმერთო. რამ დაგვასამუსა არ ვიცი. ჩვენ ისევ ქართველნი ვართ ⁂ კასნი ⁂ არა მოგვკლებიარა დიდის ხელმწიფის ჯარი არის დიდროანისა ⁂ წერილის ზარბაზნით: ⁂ ათას ხუთასი ქვეითი ასეთი ჯარი რომ დიდად ომის მოსწრაფენი. ⁂ უცხოდ ველის გამოიღებნი. ჰოდჰოლკონიკი ალექსანდრე ⁂ სურამს გამარჯვებული მაიორი: რამ შეგვერა რამ გვიქმნა: არ ვიცი: ღმერთს ვცოდებ რომ ასე მიკვირს ჯარს რომ ჯარი გაეურება, იმ ჯარს ნასყვარ გული მიეცემა ⁂ წინააღმდეგს დაუხვდება ერთი ორად ჰავლე იარანალი მოვიდა ჩერქესს. იმისმა მცირე ჯარმა შისზე გაიმარჯვაო.

უკრაინის ლიბლოშაკები.

(ნათარგმნი).

ასე ჩემო მკითხველო. რამდენიმე დღის შემდეგ, ჰირველის კოცნისა, როდესაც ჰაზინკას ტუჩებიდგან ⁄ ლოვიდგან მოშორდა ნაჰერწკალი, ივანე საგიჩი გაჰყვა საშველად ფენა სტეფანოვნას, რომელიცა წავიდა დარუებულ წყალთან, სადაცა ინასავდა ისეებსა. ამ რუს გარშემო დაჩრდილებული ხეები იდგნენ; ამ ხეების ისე დაეჩრდილათ ის ალაგი, რომ იმის ქვეშ საცანს კაცი კარგად ვერ გაარჩევდა. ივანე საგიჩმა, ფენა სტეფანოვნას შრომის შესამსუბუქებლად იკისრა, დაეთვალა ეხვები ⁄ ენახა რამდენი კვერცხები დაედვათ, ან რამდენს გამოსჩეკამდენ.

ივანე საგიჩი გაჰყვა, მაგრამ წარმოიდგინეთ რა ქმნა, ნიცვლად იმისა რომ დაეთვალა ⁄ შეემოწმებინა ეხვების რიცხვი, ის მივიდა ერთის ხის ძირში ⁄ უუ-

რადღებით დაუწყო ეურება იმ სახლს, სადაცა ღამით შედიოდნენ ეს ისვები. იმან იცოდა ჰაზინკას ჩვეულება, დედა რომ რუში ისვებსა სთვლიდა, იმას უნდა ისვების სახლში კვერცხები ‌ ‌ ‌ ‌ შეემოწმებინა; ჰაზინკა ისვების სადგომში იყო ‌ ‌ ‌ ‌ იმის დედას, რომ უნდა დეთვარიცლებინა რუსთან ისვები, კაცი მიუვიდა, გლეხის დედაკაცები მოვიდნენ შინა ‌ ‌ ‌ ‌ ეაჭი მოიტანეს წლის გადასახადიო. ის მაშინვე შინ დაბრუნდა ‌ ‌ ‌ ‌ ივანე სავიჩს მიანდო ისვების შემოწმება.

ისვების რუოგან დაბრუნდა შინ ჰაზინკა ერთის საათის შემდგომს მსიარული, მოცოცხლებული ‌ ‌ ‌ ‌ დედას ასარა, რომ იმან სრულებით შეასრულა ისვების საქმე. ჰატარა სანს უკან, ვნახოთ, დაბრუნდა ივანე სავიჩიც, რომელმაც მისცა აგრეთვე ანგარიში ფულა სტეფანოვნასა, რასაკვირველია იმან მადლობა უთხრა. საკვირველია, ივანე სავიჩი მოვიდა, მაგრამ ისეთი ალარ იყო, როგორც ადრე. იმას თვალები თითქოს უელამდენ, ხმა ნაზად შეექმნოდა ‌ ‌ ‌ ‌ თითქოს რაღაცა ამჰარტავნება შესვლოდა. ჰაზინკა იმ დღეს თავის ოთახში არ შესულა, რაღაცა მსიარულებისაგან სულ ლაჰარაკად გადაიქცა, ივანე სავიჩსაც კი ეხუმრებოდა ასე. გასინჯეთ. როგორც გინდათ იფიქრეთ, სადილზედ ივანე

საკიჩი ჰილპილს რომ აურიდა სუფსა, ჰაზინკამ ხელი დაჭერა ჯ დაურეკინა.

რამ გაამსიარულა ეს ორნი. ადრე დედ-მამასთან ივანე საკიჩი ჰაზინკას თითქოს თავს არ უჩვენებდა, ახლა კი ისე ხუმრობა დაუწყო რომ სიცილითა ჭკლავდა — ჰაზინკაც რომ უკვე გამოიცვალა: ის მშვიდი და მორცხვი უკვე შეიქმნა მოლაპარაკე ისეთი, რომ კაცს ენახა ვერ იცნობდა. რისთვის? რაო?

აი რისთვის, ჩემო ბატონო: ივანე საკიჩი იხვების დასათვლელად რომ წავიდა ? მივიდა ღანიშნულს ადგილს, ის გაჩერდა როგორც ზემოთ მოვისსენიეთ ერთის ხის მირში ჯ უყურებდა ივანე დაკვირებით იმ ოთახს, სადაცა იხვები ღამით ისხდნენ. ის, — მომიტევეთ, ის არ უნდა მეთქვა,-იმ ოთახის კარები, ღმერთო ნუ მიწყენ ამ თქმასა, — დიახ, იმ ოთახის კარები გაიღო ჯ რაღაცა თეთრი კაბიანი გამოჩნდა . . ივანე საკიჩი მივიდა ახლოს ჯ შევიდა თუ არა კარებში ამ თეთრ კაბას კი ხელი სტაცა, მართალია უნდოდა ამ თეთრს კაბასა დასსლეტოდა, მაგრამ უკაცრაოდ, ადარ შეიძლებოდა, თეთრი კაბა ხელში შერჩა ჯ ივანე საკიჩმა დაუწყო ლაპარაკი. ოჰ, უნდა იცოდეთ თუ რა ძრიელ გრძნობით ლაპარაკობდა! ეური რომ დაეგდო

ვისმეს, უთუოდ ტირილი უნდა მოსვლოდა! ვწუხვარ რომ არავის ესმოდა ეს ლაპარაკი, რომ ეგების შეგვეტეო როგორმე! თითონ იმასაც არ ესმოდა, ვინც თეთრ კაბიანი იყო ⸗ ეს თეთრ კაბიანი გასულდათ ჰაზინკა; წარმოიდგინეთ თუთან იმასაც არ ესმოდა ივანე საგიჩის გულ-შემატკივარი ⸗ მშვენიერი სიტყვებით ლაპარაკი. მაგრამ მე მგონია, თვითან იმ მოლაპარაკესაც არ გაეგებოდა, თუ რას ანბობდა. ჰაზინკას მხოლოდ ეს სიტყვები ესმოდა: მიყვარხარ, უნდა გიყვარდე, რა მიყვარხარ, ⸗ ისიც მრთელი ნახევარ საათი მოისმენდა ⸗ ბოლოს ისე შეკურდა ესეც რომ გაბედვით დაიწყო ლაპარაკი ⸗ გაეპასუხა, აბის ჰასუხშიაც ეს სიტყვები ისმოდა": მე მიყვარხარ, უნდა გიყვარდე,—ბოლოს საქმე რომ თავის თავად გადაწყვიტეს ⸗ გაათავეს, ერთად შექნეს ძახილი: გვიყვარს. უნდა გვიყვარდეს, შენი გულისა, შენი ჭირიმე, ჩემო თვალის ჩინო ⸗ სხუ ⸗ სხუა, როგორც იცით რადა მკითხველო, აშიკების ანგარიშები ამ დროს, იმათ მაშინ იხვები სულ დაავიწყდათ, ისიც კი აღარ ახსოვდათ თუ რისათჳს მოვიდნენ ⸗ რა უნდა გაეკეთებინათ. ხან ისხდნენ, ⸗ ხან იდგნენ, მაგრამ სულ სიყვარულზედ ლაპარაკობდნენ, ახლა თანაც უანგარიშოთ ჭკოცნიდნენ

ერთმანეთის, ბოლოს ჰაზინკა გამოიქცა შინ, ივანე სავიჩი კი ფეხ წუნარა, მშვიდათ ტ გულ დადინჯებით გამოჰყვა უკან, თითქოს არაფერი ანბაყიათ. აი რა ჩემო მორცხო ჰაზინკავ, იქამდინ რომ შენი ჩრდილისაც გერიდებოდა, იმ დღეს რა მსიარულად იყავი? ჰა, ხომ გახსოვს, მე კი მახსოვს ტ! . . .

მეორეს დღეს ივანე სავიჩი მოვიდა ძრიელ დამშვიდებულის სახით ტ სთხოვა კირილე ჰეტროვიჩს, ნაგრეთვე იმის ცოლს ფენა სტეფანოვნას, რომ მიეცათ ება საიდუმლოდ მოლაპარაკებისა, ერთ საჭირო საქმესედ, რასაკვირველია რომ მაშინათვე შეიყვანეს ცალკე ოთახში ტ შეიკეტეს კარები, იქ ილაპარაკეს, ილაპარაკეს ორს მრთელს საათსა, რომელიც ლაპარაკს ვაზინკა რა კარებთან იდგა, ეურს უგდებდა. ეურს უგდებდა. მაგრამ ვაი იმ ეურის გდებასა; სან იდგა ტ ისე სულ-განაბული ცდილობდა რასა ლაპარაკობდნეს სან მოსმინებას რომ დაჭარგავდა, დაჯდებოდა გაუვითლებული; სან უკბ წამოწითლებოდა ტ გაივლ გამოიგლიდა კვლების ფეშენეტით; არ იყო რომ სანაც თვალებიდგან ცრემლებს იწმენდდა, სან შიშისაგან გული უთრთოდა, ახლა რომ დამიმახოს, ჩემს დედ-მამას რა ჰასუხი მიეცეო; ეს კი ძრიელ უნდოდა, რადგანც ეს

იყო თანხმობის ნიშანი, მაგრამ იმისი სახელი არცკი ვისმეს უხსენებია, ამას ისე ეგონა, ამისათვს რომ რასაც ლაპარაკობდნენ, ამას ის კარგად ვერ ესმოდა.

ორი საათის შემდეგომ ივანე საგიჩი გამოვიდა შეკრებისაგან; გამოვიდა როგორდაც მოწყენილის სახით, გაჯავრებული ⁄ შეწუხებული, მაგრამ მაინც შეეძლო კიდევ ენახა ჰაზინკა, რომელთანაც მივიდა, მოეხვია, აკოცა ⁄ ჩურჩილით უთხრა: „ჩემო გულის ვარდო, შენი დედ-მამა ნებას არ მაძლევს შეგირთო, იმათ ქვის გული ჰქონიათ . . . მაგრამ ვერა რომელსა ძალას, შეუძლიან ჩუნწნი გაურაო . . შენ ჩემი იქნებიო . . . ამ ბოლოს სიტყვაზედ გრთი კიდევ მოეხვია, აკოცა როგორც გამოსალმების დროს იციან საყვარლებმა ⁄ კიდეც მოეთრდა.

„ეს კი დაგეცეს, მეხი! შე გარეულო გადაე“ შემოისმა ევრილი ფენა სტეფანოვნასი, ივანე საგიჩი რომ ჰკოცნიდა უკანასკნელად ჰაზინკასა, რომელიცა დაინახა ეს იმათ მოქმედების დროს, რასაკვირველია კირილე პეტროვიჩმაც თვალი შეასწრო.

— დაიკარგე აქედგან, შე ავაზაკო ⁄ ადარ გაბედო აქ მოთრევა, თუ კიდევ მოხულ. . . . აქ საცოდავს კირილე პეტროვიჩს სული შეუგუბდა, დაბარბაცდა

და ცოტა გაწყდა ჰოლზედ არ გადიშლარტა მეტის გაშფოთებით.

„მაგას რას შვრები ჩემო სულიკო, ეგ გაანჩხლება რა კარგსა და კეთილს დაგაურის, ეუბნებოდა ცოლი ფენა სტეფანოვნა, თავის ქმარსა; გაბრთხილდი არა დაგეშართოსრა, ხომ იცი დალოცვილო სუსტის კაზმისა ხარ!

— ხედავ როგორი ურცხვი ეოფილი? გაიგონე ჩემო გულის თაიგულო, რა თქო; ჩემი გვარი. თქუენს გვარზედ ნაკლები არ არის. გესმის! თუ უკეთესი ჩამოშავლობისა არა, თქუენზედ ნაკლები ჩამოშავლობისა არა ვარო. იმასოდა კირილე პეტროვიჩი.

„აბაიგე ჩემო სულიკო, ბაზინკას რომ უთხრა, შენ დედ-მამას ქვის გული ჭქონიაო? ახლა დაუმატა ცოლმა, ხედავ შვილის რაებს აგონებს, როგორ აგიჟებს ჯ მორჩილებიდგან ხელს აღებინებს! რა კარგია! აბა ერთი გვაჩვენოს, დაგვანახოს, თუ ვიზედ ვიქონიეთ როდისმე ქვის გული? ან ვის რა დაუშავეთ ჭა? თუნდა ასლავე მომკლას ღმერთმა, შემაჩვენოს, თუ ვისმეხთოს თავის დღეში ცუდი რამ მექმნას.

— როგორ შემოგვბედა ჯ გვითხრა, სიმდიდრე არაფერიაო; ის როგორ გაბედა, თუ ცა ღარიბი ვარ,

მაგრამ ისეთი კეთილშობილი ვარ, როგორც თქვენ ბრძანეთ. . . ხედავ ვის დამეგობრა! . . .

„აბა, ჩემო თვალის სინათლევ, გამოსდგომიხარ იმ, ვიდაცა ტბრ . . . ტბრუნ . . . ტბრუნკევიჩსა ბ ათის ბატისათვს, იმ წეუ ეებისათვს ბ იმდენს ფუ-ლებს აფუჭებ; ის არა ჭსკობია მაგასად შეიტანო საჩივარი; მაგ შეჩვენებულს აფიცარზედ, რომელმაცა ემაკისთანა შეურცხება მოგვაყენა ბ ასე უწყალოდ დაგვ-ლაფა?

— მართალს ანბობ, სწორეთ რომ მართალს. ჯერ ჩემი ვექილი მომიყიდეს, ხოსტიკ ჯმუნკოვსკი, მე იმას ასეთი არზა დაგვწერინო რომ ქუჩა გასეიქოს. ხედამ როგორ დაგვლანძღა, როგორ მორიანად ამოგვა-გდო შთამომაყლობით მაგას ჯანი წაუვიდეს კიდევ ვინა ჩიეის, ჩუენ თვალ წინ, ჩუენ ცხვირთან, ამაზედ მე-ტი რაღა ღუთის რისხვა იქნება, დედ-მამის თანა დას-წრეებით, ერთად ერთს ჭარუმადათ ქალს აკ ცა! მერე რა, ჩუენ დაუკითხავად, ჩუენ ნება დაურთავად, ჭა? რასა ფიქრობ დედაკაცო?

„რაღა, რაღასა ვფიქრობ, ჩუენი თავის მოჭრაა, რაღა! აი, ჩემო მკითხველო რა ანბავები შეიქმნა ივა-ნე სავიჩზედ, იმ ადამიანებისაგან, რომელნიც გუშინ

დიდნი მეგობრები იყვნენ ჯ დიდ პატივში ჰყვანდათ! მერე ეს სულ ამისათჳს, რომ გაბედა ჯ ქალი სთსოვა. იმათ აღუკრძალეს, იქ აღარ გაეგლო. საწყალი პაზინკა!

კირილე პეტროვიჩი როგორც თითონ ამტკიცებდა, სოლერიანის აგებულებისა იყო; ეს თვითან იმას წაეკითხნა ბრუსოვის კალენდარში, სადაცა შეემოწმებინა ის პლანეტი, რომელს დროშიაც დაბადებულიყო. ის ამაზედ სწორეთ დაჭეშმარიტებული იყო. მაშასადამე ივანე საეიჩზედ რომ გაწყრა იპე უცებ, უცებვე დამშვიდდა, თუ რომ იმ უფალს სასიძოს ჯერ დროებით თავი დაენებებინა, ამ საქმეს აღარ გამოსდგომოდა, ბოდიში მოესადნა კირილე პეტროვიჩი მიეტევებდა ისევე დაიასლოვებდა, მაგრამ, აბა, ეს უფალი ივანე საეიჩი აღარ მოეშო ჯ პაზინკას მოპოების კვალს შეუდგა, სხუა ცხით.

კეთილ გონიერთ ჯ სიფრთხილის დამჭერთ მშობლებმა ივანე საეიჩი რომ გაისტუმრეს, შეიუვანეს პაზინკა ცალკე ოთახში ჯ თავი ისე აჩვენეს, ვითომც ცოლქმრობის ხსენება იმათში არა ეოფილა რა, ამას გარდა ვითომც სრულებით არა იცოდნენ რა ჯ დაუწყეს ლაპარაკი. ამ ლაპარაკით ისინი არიგებდნენ, რომ

ცდილიეო ეოვლის ღონის-ძიებით არსად შესვედროდა ჰაზინკა ივანე სავიჩს.

„რაც შეეხება კოცნას — ღმერთმა დაგიფაროს ჯ გაშოროს! დაუმატა ფენა სტეფანოვნამ. თუ რომ შენის ნების წინააღმდეგ გაკოცოს, ეგ სსუა არის, ეგ ცოდო არ არის, ამისათჯს რომ შენი სურვილი ხომ არა ეოფილა. აგრე მალათ ჩემთვისაც უკოცნიათ; გასათხოვარი ქალი ვიეავი, რომ ჩუწნ სოფელში ცხენოსანმა ჯარმა გაიარა, მამაჩემსაც შემოეხვივნენ ბევრნი აფიცრები. ისე მეშინოდა იმათი რომ ვერ დავენახვებოდი, ვიჯექი ჩემს ოთახში ჯ ამ დროს ვნახოთ შემოვიდა ერთი აფიცარი ჯ დამიწეო ლაპარაკი: ახ, რა ლამაზი ქალი ხარო! აბა ერთი მაკოცეო! მე მაშინვე ზურგი შევაქციე, თავი მოვარიდე, მაგრამ ის მომეარდა, მაკოცა, მაკოცა, ერთი, ორი, სამი, ვინ იცის რამდენი, მალათ ღმერთმან იცის, ჯ გავარდა გარეთ გიჟივით. ვინ იეო, დღესაც არ ვიცი, მხოლოდ ეს კი მახსოვს, რომ ლამაზ-ლამაზი ეჰაწვილი იეო. . . . . “

— მაგას რაებს უქადაგებ, ჩემო ლამაზო, მერე ისიც გასათხოვარს ქალს, უთხრა წარბ შეკვრით ცოლს კირილე პეტროვიჩმა.

„რა უეოთ სულიკოჯან, რაც მართალია, მართალია,

-ე ამას ამისთჳს ვარიგებ რომ ახსოვდეს, ეგ სხუა საქმეა, ძალათ რო აკოცონ; რასაკვირველია თავის ნებით რომ იუოს, არ არის კარგი, ამას სწორე გითხრა მე ძრიელ უკრძალავ.

— აღარ გაბედო ტ აღარ აკოცნინო, თვალითაც აღარ დაინახო, უბძანა კირილე პეტროვიჩმა, არა თუ კოცნა, ან მიწერა ან მოწერა, არ იქონიო, თორემ ვაი შენი ბრალი. შენ გააგონე ჩემო სულის ბატკანო,— ასლა მიუბრუნდა ცოლსა,— ამას გარდა კარგათ თვალეურიც ადევნე, სუმრობა არ არის; ერთმანერთში ჩუმათ კაცი არ მიგზავნონ, როგორც არის სოლმე ხრისტონოსცების ჯარში. მერე უნდა იცოდე რა ამბავია იქ ომის დროს! საიდუმლო კაცები რომ არა ჰყვანდეთ, ხომ აქამდინ ერთი კარლისტი აღარ დარჩებოდა ცოცხალი. აი, თუნდა მე შენ გიამბობ ერთს იმათს ანბავს . . . . როდესაც ხრისტონოსცები . . . .

,,ერთი ხელი აიღე ღუთის გულისათჳს მაგ კარლისტებზედ, რას ჩაციედი . . . . ჩუენი თავში საცემი, შინა გვეავს . . , . შენგან არ მიკვირს ჩემო კარგო კირილე პეტროვიჩ, მაგისთანა ჭკვიანი კაცი ხარ, აგრე განათლებული ტ მაგისთანა სასარგებლო რომელიცა მგონია ცის ძირას არის, სადაცა თავის ღღეში

არ გაეიგლით. თუნდა სულ ერთიან გაჟლიტონ. ჩუენ ის ვიფიქრეთ, ამას ადარაგინ აკოცოს, თორემ მიწერ მიწერისა კი არ მეშინიან. კარგი არა ვქენი მადამას რომ მოგეტანე, იქ რომ ეოფილიეო ჯ წიგნი ესწავლა მაშინ სულ დაეიდუბებოდით. იქ არა თუ წერა კითხვაც რაც იცოდა ისიც დაავიწყდა, მადლობა ღმერთსა, ამ გზით გული დამშეიდებული მაქუს.

ბაზინკა ეურს უგდებდა ამათ დარიგებასა, მაგრამ ის სულ სხუასა ფიქრობდა. ის ძალიან კარგათა კითხულობდა კიდეცა ჯ წერაც თავისთუს საკმარისი იცოდა. იმან გონებაში გადაწეეიტა: თავისი ნებით ივანე საეიჩი არ შეხვედროდა, ჯ თუ ის შეხვდებოდა სადმე, მაშინ ამას დანაშაული არა ჰქონდა; თითონ ამას არ ეეოცნა ჯ თუ ის აკოცებდა, ამას რა ბრალი ჰქონდა. დედის დარიგება ეს იეო, რაც წიგნის მიწერ-მოწერას შეეხება, რადგანც ეს აკრძალული არა ჰქონდა, თუ შეხვდებოდა, ამას კი შეიძლებდა.

ბოლოს ეს დარიგება რომ გათავდა, ბაზინკა თავის ოთახში შეეიდა, ერთის წიგნიდგან ცარიელი ფურცელი ამოხიეა, ნემსით დახაზა, იმის მაშისაგან გადაგდებული კალამი ჰქონდა, ის აიღო ჯ იმ ნემსით დახაზულზედ დაიწეო წერა:

„ვანოჯან! სულ ვტირი, შენი ნახვა მინდა. როგორა ვნახოთ ერთმანერთი? თორემ მოვკვდები!“

ამ ორიოდე სიტყვებში ბევრი შეცდომაები იყო ⁄ ისეთის ხელით იყო დაწერილი, რომ მნელად წაიკითხებოდა, მაგრამ ივანე სავიჩმა კარგად წაიკითხა. ახლა ეს მითხარით, როგორ მიუვიდა ეს წიგნი ივანე სავიჩსა? მრიელ ადვილად.

ბაზინკა თუმცა მრიელ შეწუხდა ამ ორის სიტყვის დაწერაზედ, მაგრამ მაინც მოიფიქრა, თუ როგორ გადაეცა ეს ბარათი ივანე სავიჩისთჳს. იმან დაუძახა თავის გოგოს დუნიაშას ⁄ წმინდის გულით გაუტეხა თავის გულის ტანჯვასა, ამასთანავე სთხოვა ეოვლის ღონის ძიებით ცდილიყო ეს წიგნი გადაეცა ივანე სავიჩისათჳს.

„ისე მიუტანე წიგნი, რომ ვერც დედა ჩემა, ვერც მამამ ვერ შეიტყონ, ეუბნებოდა ბაზინკა. ამასთანავე როდესაც ეგ წიგნი მისცე, უთხარი შენის ბირით შემომითვალოს, ცოცხალი არის ისევე თუ არა, ისიც ჩემსავით ტირის თუ არა, ან როდისა ფიქრობს ჩემს ნახვასა? დაესხენი ყველაფერი სიტყვით შემატყობინოს, ნუ მომწერს, თორემ ვერ გავარჩევ ჴელთნაწერსა, ⁄ თუ ვისმეს ჴელში ჩავარდა, მაშინ შენი მტერი, დამესმარე

ამაში ჩემო დუნიაშა ⰴ თუ ჩემს ვანოს შევირთავ, გამლევ სიტყვასა, შენც კარგს კაცს მიგათხოვო.

დუნიაშა რა დასარბდა ამ გვარსა საჩუქარსა ⰴ დაეწყუნა რა, რომ ის უეჭველად შერთავდა იმ უნტერაფიცარსა, რომელიცა უყვარდა; რომლის მშვენიერებით მგზავსი მრთელს ჰოლკში არავინ მიაჩნდა, ის დაჭირდა თავის ქალბატონს, ოფველიფერი იმისი სამსახური მტკიცედ შეესრულებინა, მაშინვე რა გამოართო წიგნი, მაშინათვე გამოტრიალდა, გაიარა ბაღის ხეივანი ჩუმათ, გავიდა ღობითგან ⰴ მოიკითხა სალდათებში; თუ სად იდგა კაპიტანი.

უნდა ვთქუათ რომ კირილე პეტროვიჩს თავის სახლის წინ ჭქონდა დიდი ბაღი ხეხილისა, იქ დარგული იყვნენ პირველი ჯინშის ხეები, მსხალი, ვაშლი ⰴ სხუა. ხეხილებს გარდა, ზოგიერთს ალაგას აქა იქ ჭქონდა დაგუბებული წყლები, სადაცა ინასავდა ჩინებულს თევზებს, ვინიცობაა უცებ სტუმარი სწვეოდა, ზოგი ერთს დაგუბებულებში ინახავდა ისვებს ⰴ ბატებს. ამ ბაღში არცარა ხეივანი იყო ⰴ არცარა სხუა რამ იმისი მსგავსი თალარი. აქა იქ ზოგიერთს ალაგს ჩრდილში სკამები იდგნენ, რომელზედაცა ჯდებოდა შაფათობით, რადგანაც სახლში ჰოლებსა რეცხამდნენ,

კირილე პეტროვიჩი, იქ იყო რომ ისპანიელების სვესა სწუვეტავდა, 5 სწუევლიდა კარლისტებს, როდესაც გაზეთებში შეიტყობდა სოლმე იმათს გამარჯვებასა.

ამ ბაშღი რომ გაიარა დუნიაშამ, უცებ შეეფეთა ივანე სავიჩს, რომელიცა დაფიქრებული დადიოდა ჯ თითქოს ვიღასაც ეძებდა, ის საწუალი თავის სადგომზედ რომ იყო, ისიც ისე იტანჯებოდა, როგორც პაზინკა,—რომ ველარ შეუძლო ამ გულის ღელვას, ადგა ჯ წამოვიდა კირილე პეტროვიჩის ბაღისაკენ, იმ აზრით რომ ეგების შეხვედროდა ვისმეს ჯ შეეტყო პაზინკაზედ აშბავი რამ, . . ამ დროს იმის სასიხარულოდ, დუნიაშამ კი მიაგება პაზინკას წიგნი.

ამ ბარათის გარდა, იმან უანბო სიტყვით რაც რამ დაებარებინა პაზინკასა ჯ დაუმატა, რომ პასუხი შეეტყობინებინა პირად ჯ არა წიგნის მიწერით.

ივანე სავიჩმა დაბარა, თუ რა მწუსარებაში იყო პაზინკას უნახაობით ჯ სთხოვდა მოეხმარა რამ ღონისძიება რომ ამ ღამეს როგორმე ენახა ბაღში, სადაცა მოელაპარაკებოდა იმ ღონის-ძიებაზედ თუ როგორ აესრულებინათ თავიანთი გულის წადილი.

— მაგდენს ანბავს ვერ მიუტან, ღმერთმან იცის, რაც მითხარი, სულ ერთიან დამავიწყდა, უპასუხა დუნი-

ამამ, თქუენ მე იმდენი რამ დამაბარეთ, რომ ხუთს წელიწადს ვიფიქრო, ვერ მოვიგონებ.

— როგორც იცოდეთ, ისე ჰქმენით ბ, მე კი არ შემიძლიან მივიტანო იმდენი თქუენი ნალაპარაკევი, რაც მომითვალეთ, ეს უთხრა დუნიაშამ ბ უნდოდა გამოტრიალებულიუო.

„მიმითმინე ბ მომისმინე ეურადღებით, ეს მაინც ბ, უანბე შენს ქალბატონსა, ხვალ დილით წიგნს მოვწერ ბ დაწერილებით შევატეობინებ, მხოლოდ ხვალ აქ უნდა დაუცადო ჩემს დენჩიკსა.

— აი ეგ კი მესმის ბ ჩემ ქალბატონს ვეტეკი კიდეცა,— ხვალ კი რამწავს მზე ამოვა, წიგნი გამოგზავნე, ამ ვაშლის ხის ძირში დავიცდი.

ამ სიტეკებით განშორდნენ ერთმანერთს, დუნიაშა შინ რომ დაბრუნდა ეველაფერი რაც ახსოვდა, უანბო ჰაზინკასა.

„გასხოვდეს აი დუნიაშა, ხვალ დილით ადრიან ადექი, არ დაგეძინოს. ეს უთხრა ჰაზინკამა ბ გადაბრუნდა კედლისაკენ, იმ ფიქრით კი არა რომ დაეძინა, იმისათჯს რომ თავისუფლად მისცემოდა მწუხარების ფიქრსა ბ ეტირა მრთელს ღამეს, საცოდავი!

ივანე საკიჩსაც იმ ღამეს თავის საგზომში არა

სძინებია. ის ამზადებდა ვრცელს წიგნს თავის საუბარელთან, პირველად ეს წიგნი ისე უნდა შეეთხუზა რომ პაზინკას გაეგო თუ რა ეწერა, შემდეგ უნდა გადაეწერა, რომ თავისუფლად ჯ გარჩევით წაეკითხნა. დიდი შრომა მოუვიდა ივანე საგიჩს იმ ღამესა, მაგრამ მაინც შეასრულა თავისი გულის წადილი ჯ გაათავა წერა სწორეთ იმ დროს, როდესაც მზემ კიდეც თავი ამოუო.

ივანე საგიჩს სხუათა დენშჩიკებთა შორის, ჭეანდა ერთი დენშჩიკი გვარად შჩელმენკო. მანამ ეს დენშჩიკი სალდათად შეიდოდა მრთელს თავის სოფელში ამაზედ გონიერი არავინ იუო. იმან წერაც იცოდა ჯ კითხვაცა; ჩუსნში რომ იტეიან, გამოცვეთილი კაციაო, მართლად ჯ ისეთი იუო ეს შჩელმენკო. ივანე საგიჩმა ნახა რომ იმაზედ უკეთეს ვერ იპოვნიდა მრთელს როტაში, ამ თავის მწუხარებითს შდგომარეობაში, ის დაიბარა ჯ გაუტედა თავის გულის ჭითარებასა.

— ერთი მითხარი ღუთის გულისათვის შჩელმენკო, შენს სიცოცხლეში გეგვარებია ვინმე თუ არა?

შჩელმენკო ცოტა გონჯი შეხედულობის კაცი იუო ჯ რა ეს მოისმინა კაპიტანისაგან; გამოიჭიმა სალდათურად.

— ჭო ჯ, მითხარი, გეგვარებია ვინმე თუ არა?

ოჰ, თქვენო კეთილშობილებავ! უნდა გაგიტუდე ჩემს ცოდვას რომ მიეკარდა ჯ ახლაც კი ძალიან მიეკარს!

— ეგ ჩემთჳს ახალი ამბავია, ვინ გიეკარდა ჯ როგორ? უთუოდ მინამ სალდათად შემოხვიდოდი?

— მანამ სალდათად შემოვიდოდი, მიეკარდა, მიეკარს ჯ მეეკარება მინამ ჰირში სული მიდგას.

— მითხარი სწორეთ, აგრე ძალიან ვინ გიეკარს?

— ფული თქუენო კეთილშობილებავ, რაღა კითხვა უნდა. ის მიეკარს ძალიან ჯ მეეკარება კიდევაც სიკვდილამდინ,

— შენ ჰირუტეო, ეგ რა მითხარ, სხუა არავინ?

— სწორეთ აგრე, აგრე გასლავთ თქუენო კეთილშობილებავ, ჰირუტევი გასლავარ, ჭეშმარიტად ჰირუტევი, მაგას მეცა ვხედავ.

— უგუნურო, სულელო შე, მე გკითხავ ქალი ხომ არა გეკარებია მეთქი?

— მინამ ჰურს ნუ სჭამენ ის ქალები თქუენო კეთილშობილებავ, მინამდისინ ისინი ქრისტიანის ტომმა არ შეიეკარონ. არა რა საეკარლები არიან შენი ჭირიმე.

— რატომაო?

— ამისათჳსაო თქვენო კეთილშობილებავ რომ, ზარალია. ვთქუათ გიუვარს ჯ რა გამოვა, სულ ფულსა თსოულობენ, რამდენიც უნდა მისცე. ამისათჳს ვერიდები კიდეც თქუჷნი ჭირიმეთ.

— შენისთანა სულს რადა უნდა ველაპარაკო, როდესაც ჩემი შენ არა გესმისრა. წადი აქედამ დამეკარგე ჯ უსაზოვი გამოძიგზავნე, ის უკეთ აღასრულებს, რასაც უბძანებ,

— მოძიტევეთ თქუჷნო კეთილშობილებავ! უსაჩოვი რათა გნებავთ, თუ კი რამ საქმე გახლავთ, მე უფრო კარგად არ ავასრულებ. ასჯერ უკეთესად.

— საქმეც ეგ არის ჩემო შჩელმენკო, აბა ერთი საესასური გამიწოვე ჯ მე ვიცი როგორც გადაგისდი, დაგსაჩუქრავ, ფულით გაგავსებ, რომელიც შენ მრიელ გიუვარს.

— ასტავკასაც მიბოძებთ თქვენო კეთილშობილებავ!

— უეჭველია, ეგ უველაზედ ადრე მოგეცემა, ოღონდა კი . . .

— რადგანაც აგრეა, მაშ მიბძანეთ თქუჷნო კეთილშობილებავ. თუნდა ზღვის ბირში ჩავალ, თუნდა ცეცხ-

ხლში ჩავარდები, თუნდა ჯანაბაში წავალ ჯ შევასრულებ კი.

— მაშ აი რა: მე მიეგვარს ერთი ამ სოფლის მებატონის გასათხოვარი ქალი, გინახამს თუ არა?

— როგორ არ მინახავს, მერე რა ლამაზია ჯ, თმები თითქო ოქრომკედისა აქუსო. ზქელ-ზქელი რომ არის, მსუქანი. . . .

— სტეული, ზქელი არ არის.

— სახელი არ ვიცი, პირველად მესმის თქუენგანა, ბაგრამ რა ჩემი საქმეა იმისი სახელი ვიცოდე.

— აი ეს წიგნი, შეიპარე იმ მებატონის ბაღში, იქ იპოვნი გოგოს, იმას მიეცი ეს წიგნი ჯ შეიტეე, თუ როდის მიხვიდე ჰასუსისათჯს.

— მესმის თქუენო კეთილშობილებავ! ბედნიერი იყოს.

რომ უნდა შემოტრიალებულიყო სალდათურად, ფეხი ფეხს წამოჰკრა, დაბარბაცდა ჯ კინაღამ წაიქცა.- ეგ რა დიდი საქმის შემოკვეთაა, გახსოვს თქუენო კეთილშობილებავ.

— გესმისთ თუ არა? ეგ ცუდი ნიშანია, რომ კინაღამ წაიქეცი, სიბრთხილით მოიქეცი, სხუას არავის მისცე ეს წიგნი.

— მესმის თქუენო კეთილშობილებავ? სიბრთხილით მოვიქცევი ჯ იმედიცა მაქუს შევასრულო.

— მაგის გულისათჳს სამი დანაშაული რომ გაქუს, იმ სამივეს ერთიან გაპატიებ ჯ თუ საქმეს წამიხდენ, მაშინ ჯოხები ჯა შენი ჯანი, ხომ იცი ჩემი სასიეთები?

— მესმის თქუენო კეთილშობილებავ! ესა სთქუა ჯ სიბრთხილით ჩაიდო უბეში წიგნი, შელმენკო წავიდა.

,,ჯოხები ჯ შენი ჯანიო, სულ ჯოხები ჯ ჯოხები, ვაი ჩემი ამქრის კაცის ბრალი,—მოდიოდა გზაზედ შჩელმენკო ჯ მოლაპარაკებოდა. რას მოიფიქრებდი ჩემო თაო, რომ სიბერის დროს დაგემუქარებოდნენ ჯოხებითა. ვაი ამ დღის მნახველს. იუო დრო, ჩემ სოფელში თითით საჩვენებელი ვიუავი; ეველა რჩევასა მკითხავდა, ჩემის ჭკუით, სოფლებს ბიჭებივით ვიმსახურებდი, ხან სად ვგზავნიდი ჯ ხან სადა. ახლა შენ თითონ იტანტალე ჩემო თავო ჯ გახდი სხვის მებარგულე; არ გახდები მებარგულე ჯ, ჯოხებს მოგარტუამენ იმდენს, რომ დათვლაც ვერ შეიძლო . . . . აბა რა უეო ახლა, ამ დაშამათულს ბარათს რომ მივათრევ, არა, რა ჩემი საქმეა, მაგრამ ტუვეს ვინ რასა

ჰკითხავს; კარგი, მივიტანე, მერე? ერთიც ვნახოთ ის უფალი შვაკი იმ ქალის მამა ბაღში დამიხვდა, სომ კარგად შემაქცევს, უფრო, კეტებით, ჯოხებით კი არა. საცოდაო წემო თავო, შე უბედურო ტ უბედურის გვერდისავ! ეჰ! რა ბეგრსა როხავ ეოვლად უბედურო, მეტი გზა არ არის, კაპიტანი გიბძანებს, გათავდა,— დამიჭერს შვაკი, მეც დავიჭერ ტ სულ ერთიან ბრალს კაპიტანს დავატეს თავზედ, ძალიან საჭირო არის; ვეტეგი, ჯოხებით დამაშინა ტ მოვიტანე ბარათი, რა მექმნამეთქი, ვინ იცის, იქნება შვაკია რაღაც ჯანაბა, ჰირიქით ფულიც მაჩუქოს.— თუ ერთის მხრითგან ჯოხები მომხვდება, მეორეს მხრით სომ ფულებს მივიღებ,

ამ ლაპარაკით ტ ფიქრით, გულადად შებმანდა ეს ჩუტნი შელმენკო კირილე პეტროვიჩის ბაღში, სადაცა შეიტანა იმის ქალთან სააშიეო ბარათი, იქ გარეშოება შეიცვალა როგორღაც, ეს დღე შაბათი დღე იეო, ის დღე, როდესაც კირილე პეტროვიჩის სახლის პოლეებსა რეცხავდნენ ტ თითონ ბაღში ერთს სკამეიკაზედ ჩამომჯდარი გაზეთებსა კითხულობდა. იმას ჯერ როგორღაც მოსვდა ვერ შეხვდა, მაგრამ იმას უცებ შეეფეთა იმათის სახლის ერთგული მსახური, გამდელი რო-

მელსაცა ერქუა მოტრე ⰴ რომელიცა დუნიაშას დაეძებდა, ეს მოტრე ისე ერთგული იყო ამ სახლისა ⰴ ისე მიღებული, რომ ბატონების მაგიერ ყველას პასუხს ის აძლევდა, თუ იმისი სურვილი არ იყო, ბატონს რომ ებძანებინა რისამე მიცემა ვისთვისმე, თუ იმას არ უნდოდა, არ მისცემდა; მრთელი სახლის ანგარიში იმის ხელში იყო.

შჩელმენკო შეეფეთა ამ გამდელს ⰴ შეკრთა, არ იცოდა რა ექნა, ბოლოს რომ მეტი გზა არ იყო, შჩელმენკომ მძიმეთ თავი დაუკრა ⰴ გაელაპარაკა, ვითომც ⰴ აქ არაფერი ამბავია.

— ოჰ, გამდელო უკაცრავად.ვერ დაგინახე.... რა მსუქანი ხარ ⰴ რა ლამაზის სახისა!.... მერე როგორი ყოჩაღი! . . .

— მე ღმერთმა ასეთი ყოჩაღი გამაჩინა ⰴ. . . .

— იცი რა? თუ არ გამიჯავრდები, ძალიან შემიყვარებდი.

— ეგ რა ჩემი საქმეა?

— როგორ თუ რა შენი საქმეა! თუკი შემიყვარებდი ისე, რომ არც დღე მაგონდებოდეს ⰴ არც ღამე, შენის სიყვარულითა.

— ძალიან საჯირო.

— როგორ თუ ძალიან საჭიროა, მერე შენ[illegible] შემიყვარებ.

სიყვარული ერთი დიდი რამ არის, მაგრამ რა გა[illegible] მოვა?

— რა გამოვა ? შეყვარებით,

— ღმერთმა დამიფაროს, ჩემი თავი სალდათ[illegible] ველში არ ჩავაგდო!

(ბოლო მერმე იქნება)

1872 წელსა.

„ცისკრის“ დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგ
ვნით, 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება კუკიის ხიდზედ, მირზოე
შენობაში, მარტირუზიანის სტამბაში. ქ. ტფილისს

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ
მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშ
აცნობოს ამ ადრესით:

„ცისკრის“ რედაქტორს ი. კერესელიძეს, (...

Дозволено цензурою.

Въ Типографіи Мартиросянца, на Михайловскомъ мосту.